

ფაქტობრივი გარემოებები

რეზიდენტმა საწარმომ, რომელიც იყენებს დარიცხვის მეთოდს, არარეზიდენტი საწარმოსაგან აიღო სესხი უცხოურ ვალუტაში. საწარმო ყოველწლიურად ახდენს უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი ვალდებულებების (სესხის ძირითადი თანხის და დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის) გადაფასებას და შედეგებს (მოგება/ზარალი) ასახავს შესაბამისი პერიოდის მოგების გადასახადის დეკლარაციაში.

I ვარიანტი:
საწარმოს ერიცხება 2010 წელს წარმოშობილი და აუნაზღაურებელი პროცენტები.

II ვარიანტი:
საწარმოს ერიცხება 2011 და შემდგომ წლებში წარმოშობილი და აუნაზღაურებელი პროცენტები.

შეფასება

სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4(ბ) ნაწილის მიხედვით, თუ პირი იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც მიღებული მომსახურებისათვის საკომპენსაციო თანხის გადახდა უკავშირდება არარეზიდენტ საწარმოს. აღნიშნული ნორმა ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან.

სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადებით დაბეგვისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა.

სესხის ძირითადი თანხის გადაფასების შედეგი არ წარმოადგენს მომსახურების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.

სესხის მომსახურებაზე დარიცხული პროცენტების გადაფასების შედეგი წარმოადგენს მომსახურების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს.

I ვარიანტი:
2011 წლის იანვრამდე დარიცხული პროცენტების ნაწილში, გადაფასების შედეგებთან დაკავშირებულ გამოქვითვასთან მიმართებაში არ გავრცელდება სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.

II ვარიანტი:
2011 და შემდგომ წლებში დარიცხული პროცენტის გადაფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება/ზარალი საგადასახადო ანგარიშგებაში აისახება საკომპენსაციო თანხის გადახდის საანგარიშო პერიოდში.

ლონისძიებები

I ვარიანტი:
პირის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ განხორციელდება.

II ვარიანტი:
დაკორექტირდება შესაბამისი პერიოდების ერთობლივი შემოსავალი და გამოქვითვები (პროცენტის გადაფასებით მიღებული მოგება/ზარალი). დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში საწარმო დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო არ ეხება ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს
 ➤ ფაქტობრივ გარემოებებში იგულისხმება, რომ საწარმო აღებულ სესხს სრულად იყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში, ამასთან არ აქვს მიღებული მოგების გადასახადით დაბეგვისაგან გათავისუფლებული შემოსავლები და პროცენტის ხარჯის გამოქვითვაზე არ ვრცელდება სსკ-ით დადგენილი სხვა შეზღუდვები
 ➤ ფაქტობრივ გარემოებებში იგულისხმება, რომ არარეზიდენტი საწარმოსათვის გადახდილი თანხა არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში
 ➤ სახელმძღვანელო შემუშავებულია 2015 წლისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით